გწპ
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 1813/09 D 10. 04. 13

შპს „მამა"–ს დირექტორს
ბატონ დავით შაქარიშვილს
გელოვანის ქუჩაზე, „საქენერგო"–ს
სადისპეჩერო სამმართველოს
მიმდებარედ, ნაკვეთი 3/3

ბატონო დავით,

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი განცხადება, დათარიღებული 22.03.12 წ. დარეგისტრირებული №7527/04, 22.03.12 წ. ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე ნაკვეთში ვამაღალ წყალდენიდან შენობების დაშორების ნორმების განსაძღვრის და ობიექტის წყალმომარაგების თაობაზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"–ს წყალმომარაგების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე განვმარტავთ, რომ თქვენი ობიექტის მარჯვენა მხარეს 10.5 მეტრში გაედინება 900 მმ ∥ წყალდენი. სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად წყალსადენიდან ნებისმიერი შენობა დაშორებული უნდა იყოს 10 მეტრით, რაც ამ შემთხვევაში დაცულია. თქვენი ობიექტის მარცხენა მხარეს გაედინება რკინა ბეტონის გარსაცმში მოთავსებული 1200 მმ წყალდენი რომელიც თქვენი ობიექტიდან სხვადასხვა წერტილში დაცილებულია სხვადასხვა მანძილით, კერძოთ შენობის კედლის წინა და უკანა გვერდიდან წყალდენი დაშორებულია 3.5 და 3.7 მეტრით, ხოლო შუა ნაწილში 2 მეტრით. სამშენებლო ნორმებისა და წესების СНИП 11-89-80 მე–9 ცხრილის თანახმად დაშორება გარსაცმში მოთავსებული მაგისტრალური ქსელიდან შენობის ფუნდამენტამდე უნდა იყოს 3 მეტრი, რაც აღნიშნულ შემთხვევაში დაცულია ნაწილობრივ და შენობა მოქცეულია მაღალი რისკის ზონაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შორის გაფორმებული ხელშეკრულებისამებრ მოხდება თქვენი შენობის მარცხენა კედლის დაცილება 1200 მმ დიამეტრის წყალდენიდან 3 მეტრით, თქვენი ობიექტის წყალმომარაგება შესაძლებელი გახდება მიმდებარედ გამავალ 100 მმ დიამეტრის ქსელიდან წყლის ხარჯის შესაბამისი დიამეტრის განშტოების ჭისა და წყალზომის კვანძის მოწყობით.

პატივისცემით,

ირაკლი ფეიქრიშვილი

ახალი აბონენტების მიერთებისა და
აღრიცხვის კვანძების დეპარტამენტის უფროსი

ბ.შ.სრულებელი: ი. ჩხაიძიშვილი
ტელ.: 2931111